*დანართი №1*

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ტურიზმი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 09.11.2024 – 19.11.2024

დასკვნის წარდგენის თარიღი: 05.12.2024

თბილისი

შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ........................................................ 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა ........................................................ 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან ........................................................ 8

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა ........................................................ 8

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა ........................................................ 15

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა ........................................................ 21

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ........................................................ 23

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები ........................................................ 28

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ**[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | **სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**<br>საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204864548 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

| | |
|---|---|
| **თავმჯდომარე** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ეკა დევიძე,<br>შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თამარ გვიანიშვილი,<br>ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, საქართველო |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად) | **ტურიზმი** |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად) | Tourism |
| უმაღლესი განათლების საფეხური | II (მაგისტრატურა) |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრი / Master in Tourism and Hospitality Management |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | პერსონალური მომსახურებები – არაკლასიფიცირებული / Personal services, not elsewhere classified (1019) |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3] | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული<br>საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება # N116; 12.09.2018<br>https://eqe.ge/ka/decisions/8647/show |
| პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები) | - |

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

„ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შეფასების მიზნით სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას „ტურიზმი“ 2018 წელს მიენიჭა აკრედიტაცია (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება №116, 12.09.2018). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის მოყვანის პროცესში დარჩა უცვლელი პროგრამის დასახელება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ტურიზმის და მასპინძლობის მენეჯმენტის მაგისტრი); პროგრამის მიზნები; პროგრამის სწავლის შედეგები; პროგრამის სტრუქტურა. ამავდროულად, გარკვეულწილად განახლდა პერსონალის შემადგენლობა (მაგ., გაიზარდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა) და განხორციელდა პროფესიულ განვითარებაზე მიმართული ღონისძიებები (მაგ., ტრეინინგები, კონფერენციებში მონაწილეობა, სხვ.). სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,ტურიზმი" 120 (ECTs) კრედიტიანია, სწავლების ხანგრძლივობაა 2 წელი (4 სემესტრი) და მოიცავს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტს. პროგრამის სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია: სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები, კვლევითი პროექტი, პროფესიული პრაქტიკა და სამაგისტრო ნაშრომი. პროგრამის კრედიტები განაწილებულია შემდეგნაირად: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო ნაწილი 105 კრედიტი, მათ შორის: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები (65 კრედიტი); პროფესიული პრაქტიკა (10 კრედიტი); კვლევითი პროექტი (10 კრედიტი) და სამაგისტრო ნაშრომი (20 კრედიტი). პროგრამის არჩევითი ნაწილია ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - 15კრედიტი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ბრძანებით (MES 7 24 0001409345, 01/11/2024) შექმნილ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს (ეკა დევიძე, თავმჯდომარე; თამარ გვიანიშვილი, წევრი) დაევალა სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლა და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ტურიზმი“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა, აღნიშნულზე დასკვნის შედგენა და ცენტრში წარდგენა. ექსპერტებს მიეწოდათ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები. შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე. მოსაზრებების და მიგნებების ურთიერთგაცვლის შედეგად, ექსპერტები შეჯერდნენ შეფასების შედეგებზე და შეიმუშავეს დასკვნა. „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შეფასებისათვის განხილული იქნა I და II სტანდარტები - სრულად, IV სტანდარტი - 4.1 ქვესტანდარტი.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

I სტანდარტი (საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა) შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

1.1 პროგრამის მიზნები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

1.5 სასწავლო კურსი/საგანი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

II სტანდარტი (სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა) - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

2.4. სტუდენტების შეფასება - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

IV სტანდარტი (სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა) - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან. კერძოდ:

4.1 ადამიანური რესურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

✓ რეკომენდებულია დაკორექტირდეს სილაბუსი „კვლევითი პროექტი“, რათა მკაფიოდ გამოიკვეთოს კვლევითი პროექტის არსის და შეფასების სისტემის ურთიერშესაბამისობა.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

✓ მიზანშეწონილია დაკორექტირდეს თვითშეფასების ანგარიშში მითითებული ვიწრო სფეროს დასახელება: ,,სპეციალური მომსახურებები“ (კოდი: 101)” და შეიცვალოს ჩანაწერით: ,,პერსონალური მომსახურებები/Personal Services” (კოდი: 101);

✓ მიზანშეწონილია პროგრამის კურიკულუმში დაკორექტირდეს დაშვების წინაპირობა - მიეთითოს ინგლისური ენის ფლობის მინიმალური მოთხოვნილი B1 დონე, როგორც ეს არის მითითებული დაწესებულების ვებგვერდზე https://www.tsu.ge/ka/programs/561 განთავსებულ ტურიზმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში;

✓ მიზანშეწონილია „სამაგისტრო ნაშრომის“ სილაბუსიდან ამოღებულ იქნეს უარყოფითი შეფასებების (Fx, F) განმარტებები, რომლებიც გამოიყენება სასწავლო კომპონენტის შეფასებისთვის და არ არის კავშირში სამაგისტრო ნაშრომის შეფასებასთან;

✓ მიზანშეწონილია პროგრამის კურიკულუმში სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემის მითითების გარდა, ასევე მიეთითოს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასების სისტემაც.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

-

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არგუმენტირებული პასუხის თანახმად, ექსპერტთა მოსაზრება გაიზიარა დაწესებულებამ დასკვნის პროექტში წარმოდგენილ რეკომენდაციებთან და რჩევებთან მიმართებით. შესაბამისად, სტანდარტების (1.2.4.) და ქვე-სტანდარტების (1.1.1.2.1.3.1.4.1.5., 2.1.2.2.2.3.2.4., 4.1) შეფასება რჩება უცვლელად.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

  -

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესები რეგულირდება დოკუმენტით „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა", რომლის თანახმად პროგრამას შეიმუშავებს შესაბამისი მიმართულების/დარგის/ქვედარგის აკადემიური პერსონალი სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით. პროგრამაზე, მათ შორის პროგრამაში ცვლილებებზე, მუშაობის პროცესი ასახულია დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის და საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომების ოქმების ამონაწერებით და სამუშაო ფაილებით.

,,ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის შეფასების მიზნით სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით დასტურდება, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ტურიზმი"-ს მიზან(ებ)ში ცვლილებები არ განხორციელებულა უსდ-მიერ და იგი წარმოდგენილია უცვლელად. პროგრამის მიზანია: ,,მაგისტრის ხარისხის მქონე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება ტურიზმის, როგორც ქვეყნის წამყვანი სოციალურ-ეკონომიკური დარგის, ისე მრავალპროფილიანი ბიზნესის სფეროსათვის, შესაბამისი ღრმა და სისტემური თეორიულ ცოდნით, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პრაქტიკული უნარ-ჩვევებით და კომპეტენციებით, რომლებიც პასუხობენ ამ სფეროში მენეჯერის, ცალკეული მიმართულებებისა და პროექტების ხელმძღვანელის, მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტისა და ექსპერტის პოზიციებზე დასაქმების მოთხოვნებს". პროგრამის მიზნები ითვალისწინებს საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს დაშეესაბამება ფაკულტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის და მისი სტრუქტურული ერთეულის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას.

ტურიზმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში, პუნქტი „**2. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ:** ,,დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013): მითითებულია ვიწრო სფერო „სპეციალური მომსახურებები" (კოდი:

101), რაც არ შეესაბამება „სწავლის სფეროების კლასიფიკატორში“ მითითებულს - „პერსონალური მომსახურებები“ (კოდი: 101), მნიშვნელოვანია აღნიშნულის კორექტირება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,ტურიზმი” - დანართი 1;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან “ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან “ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში;
- „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცედურა“ და სამუშაო ფაილები (დამატებით წარმოდგენილი);
- ამონაწერები ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის, ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტის კათედრის და საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის სხდომების ოქმებისდან;
- პროგრამა - ვებგვერდი https://www.tsu.ge/ka/programs/561

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- მიზანშეწონილია დაკორექტირდეს თვითშეფასების ანგარიშში მითითებული ვიწრო სფეროს დასახელება: ,,სპეციალური მომსახურებები“ (კოდი: 101)” და შეიცვალოს ჩანაწერით: ,,პერსონალური მომსახურებები/Personal Services” (კოდი: 101).

**შეფასება**

| **კომპონენტი** | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| **1.1 პროგრამის მიზნები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

### 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბების მეთოდოლოგიურ მიდგომებს აღწერს დაწესებულებაში მოქმედი დოკუმენტი „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასება“, რომლის თანახმად აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა პროგრამის განათლების საფეხურთან და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან, ასევე, ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს პროგრამით მისანიჭებელი კვალიფიკაციის, პროგრამის მიზნების, სწავლის შედეგებისა და პროგრამის შინაარსის ურთიერთშესაბამისობა.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიშის

მიხედვით დგინდება, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,ტურიზმი"-ს სწავლის შედეგებში განხორციელდა მცირე ცვლილებები, კერძოდ: ,,შემოწმდა პროგრამის სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა სასწავლო კურსის სილაბუსებთან, სწავლის შედეგები მოდიფიცირდა ბლუმის ტაქსონომიის ზმნების შესაბამისად (არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური)". პროგრამის შედეგები წარმოდგენილია 3 კომპეტენციით: ,,ცოდნა და გაცნობიერება, უნარი, პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა" და ეყრდნობა კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს, შეესაბამება სწავლის სფეროს სპეციფიკას და შრომის ბაზრის მოთხოვნებს;

ცოდნა და გაცნობიერება

- სიღრმისეულად და სისტემურად აღწერს ტურიზმს, როგორც ინდუსტრიას და მის ცალკეულ სექტორებს, ტურიზმის მართვის სახელმწიფო და არასახელმწიფო ინსტიტუტების ორგანიზაციულ სტრუქტურებს ქვეყნის და საერთაშორისო დონეზე, ტურიზმის ინდუსტრიის არსებულ მდგომარეობას, განვითარების ტენდენციებს და სტრატეგიული მენეჯმენტს;
- განიხილავს ტურიზმისა და მასთან დაკავშირებული დისციპლინების კონცეფციებს, კლასიკურ, თანამედროვე და ინოვაციურ დებულებებს, განვითარების სტრატეგიებს, განთავსების საშუალებებს და ტუროპერატორული კომპანიების ფინანსური და მარკეტინგული მენეჯმენტის თავისებურებებს;
- განსაზღვრავს კვლევის მეთოდების და ინსტრუმენტების თავსებადობას ტურიზმის სფეროში შესასწავლ საკითხებთან მიმართებაში, საინფორმაციო სისტემების და ინოვაციური მეთოდების გამოყენების უპირატესობებს ტურისტული პროდუქტების წარმოებაში, მარკეტინგში და მენეჯმენტში;
- სისტემურად აღწერს ტურისტული ბიზნესის განვითარების სპეციფიკას, ტენდენციებს და მის გავლენას ტურიზმის პოლიტიკაზე ინოვაციებისა და ახალი იდეების განვითარებისთვის.

უნარი

- იყენებს ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებულ კონცეპტუალურ და მეთოდურ ცოდნას კვლევების პროცესში, პროექტებისა და მდგრადი განვითარების დაგეგმვასა და განხორციელებაში, ბიზნესის წარმართვასა და ლიდერობის სტრატეგიის განსაზღვრაში;
- აანალიზებს და კრიტიკულად აფასებს ტურიზმის ბიზნესთან და დარგთან დაკავშირებულ მარკეტინგულ, ფინანსურ და მენეჯერული მონაცემებს, შესაბამისი გამოწვევების, ტენდენციების და პოტენციალის იდენტიფიცირებით;
- განაზოგადებს მოძიებულ ინფორმაციას და მონაცემებს, ახდენს მათი სტრუქტურიზებას, კლასიფიცირებას და სინთეზს, მიღებული შედეგების ინტერპრეტაციას და კონცეპტუალიზაციას კვლევაში დასახული მიზნების შესაბამისად;
- ინოვაციური მიდგომებისა და კვლევის თანამედროვე მეთოდების გამოყენებით დამოუკიდებლად ასრულებს კვლევით ნაშრომს, წარადგენს კვლევის შედეგებს აკადემიური და პროფესიული საზოგადოების წინაშე თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, აკადემიური ეთიკის პრინციპების დაცვით.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- იღებს პასუხისმგებლობას ტურიზმის სფეროში მენეჯმენტთან და მართვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე, ლიდერობის მოვალეობებზე, ასევე ტურიზმთან

დაკავშირებული მდგრად განვითარებაზე საკუთარი დასკვნების დაინტერესებულ მხარეების წინაშე წარდგენაზე შესაბამისი აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით;˜

- დამოუკიდებლად გეგმავს და ახორციელებს უწყვეტ პროფესიულ განვითარებას, საკუთარი შესაძლებლობების თანმიმდევრული და მრავალმხრივი შეფასების საფუძველზე, მათ შორის, სწავლის პროცესის და კარიერული წინსვლის სტრატეგიული დაგეგმვის მეშვეობით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,ტურიზმი" - დანართი 1;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან " და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან " შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში;
- „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასება" (დამატებით წარმოდგენილი);
- ვებგვერდი https://www.tsu.ge/ka/programs/561

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- -

**შეფასება**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **1.2 პროგრამის სწავლის შედეგები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

**1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი**

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების საკითხებს არეგულირებს დაწესებულებაში მოქმედი დოკუმენტი: „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასება", რომლის თანახმად პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ეტაპებია, მაგ.: ,,კურიკულუმის ანალიზი, შედეგების შეფასება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით, მონაცემების შეგროვება (მაგ., გამოკითხვები, აკადემიური მოსწრება, პროგრამის დაძლევის მაჩვენებელი, სხვ.) და ანალიზი", შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

თვითშეფასების ანგარიშის თანდართული დოკუმენტების თანახმად, დაწესებულებაში გამოიყენება ისეთი მექანიზმები, როგორიცაა პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურთიერთშესაბამისობის დადგენა (იხ. თვითშეფასების ანგარიშის დანართი #1), პროგრამის კომპონენტების როლი (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება) პროგრამის შედეგების ფორმირებაში (იხ. თვითშეფასების ანგარიშის დანართი #1; თვითშეფასების ანგარიში, გვ. 9). ასევე, თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, გამოიყენება პროგრამის თითოეული მიზნისთვის შედეგების მიღწევის მტკიცებულებებისა და მათი მიღწევის შემფასებლების განსაზღვრა (იხ. თვითშეფასების ანგარიშის დანართი #2; თვითშეფასების ანგარიში, გვ. 10-13). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებაში მონაწილეობენ, როგორც განმახორციელებელი პერსონალი, პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ასევე სტუდენტები. პროგრამის შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად გამოიყენება პროგრამის თითოეული შედეგისთვის სამიზნე ნიშნულის დადგენა, მის მიღწევაზე დაკვირვება (შეფასება-ანალიზი). ასე, მაგალითად, სამაგისტრო პროგრამის სწავლების შედეგების შესაფასებლად განსაზღვრულია შემდეგი სამიზნე ნიშნულები: 1. სამაგისტრო ნაშრომის შინაარსობრივი მხარე: არანაკლებ 31 ქულა 50-დან; 2. სამაგისტრო ნაშრომის ფორმალური მხარე: არანაკლებ 7 ქულა 10-დან; 3. სამაგისტრო ნაშრომის პრეზენტაცია: არანაკლებ 20 ქულა 40-დან; 4. პრაქტიკაზე სტუდენტის აქტივობა: არანაკლებ 30 ქულა 40-დან; 5. პრატიკის ანგარიშის პრეზენტაცია: არანაკლებ 20 ქულისა 40-დან. შემუშავებულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა, რომელიც თითოეული სწავლის შედეგისთვის ადგენს პროგრამის კომპონენტს, რომლითაც ხდება შეფასება; შეფასების ფორმას; სამიზნე ნიშნულს; მონაცემების შეგროვების დროს (პერიოდს) და პასუხისმგებელ პირს, ასევე პირს, რომელიც ახდენს მიღებული შედეგების შეფასებას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ შესწავლას ექვემდებარება აკადემიური მოსწრება, მათ შორის სამაგისტრო ნაშრომებში მიღებული შეფასების შესწავლა. ასევე, პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებით წარმოდგენილი დოკუმენტებით, მათ შორის ანგარიშებით, დასტურდება რომ პროგრამის შეფასების პროცესი არის რეგლამენტირებული, შეფასების მექანიზმების გამოყენება კი - სისტემატური.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში, თვითშეფასების ანგარიშის დანართები #1, #2;
- პროგრამის კურიკულუმი - დანართი 1;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა სამაგისტრო პროგრამა „ტურიზმი“ - დანართი 1;
- „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასება“ (დამატებით წარმოდგენილი);
- სამაგისტრო ნაშრომების აკადემიური მოსწრება (შეფასებები) საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად, 2019-2023 (დამატებით წარმოდგენილი);
- სამაგისტრო პროგრამა „ტურიზმი"-ს სწავლის შედეგების რუკა - დანართი 1;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუკა. სამაგისტრო პროგრამა „ტურიზმი“ - დანართი 1;
- ტურიზმის სამაგისტრო პროგრამა. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება (შემაჯამებელი ანგარიში, 2019-2020, 2020-2021, 2021-2022 და 2022-2023) - დანართი 10;

- მაგისტრატურა, ტურიზმის საგანმანათლებლო პროგრამა. 2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის აკადემიური მოსწრება - დანართი 10;
- აკადემიური მოსწრება, სამაგისტრო პროგრამა „ტურიზმი“, 2022-2023 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი - დანართი 10.

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- -

**შეფასება**

| **კომპონენტი** | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან** |
|---|---|---|---|---|
| **1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ,,ტურიზმი” შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს; პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად; პროგრამის კურიკულუმი წარმოდგენილია სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებით, ასევე სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია შემდეგი კომპონენტები: კვლევითი პროექტი, პროფესიული პრაქტიკა და სამაგისტრო ნაშრომი. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოცულობაა 120 (ECTs) კრედიტი, რომელიც განაწილებულია შემდეგნაირად: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო ნაწილი 105 კრედიტი; მათ შორის: ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები (65 კრედიტი ); პროფესიული პრაქტიკა (10 კრედიტი ); კვლევითი პროექტი (10 კრედიტი ) და სამაგისტრო ნაშრომი (20 კრედიტი ). ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები - 15კრედიტი. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია, პროგრამის კურიკულუმში წარმოდგენილი სავალდებულო სასწავლო კურსები განაწილებულია იერარქიულად, სემესტრების მიხედვით. შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,ტურიზმი” - დანართი 1;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან “ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან “ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში
- ვებგვერდი https://www.tsu.ge/ka/programs/561

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- -

**შეფასება**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი** | ☐ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

,,ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის შეფასების მიზნით სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს; თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა, შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ,,ტურიზმი” - დანართი 1

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის „ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან “ და „ სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან “ შესაბამისობის შესახებ თვითშეფასების ანგარიში
- სილაბუსები

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- -

**შეფასება**

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **1.5 სასწავლო კურსი/საგანი** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| | | |
|---|---|---|
| **1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☒ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის და ტურიზმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თანახმად, მისაღები გამოცდის ჩატარების წესები განსაზღვრულია უნივერსიტეტის მიერ, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებია: ბაკალავრის აკადემიური ხარისხი; საერთო სამაგისტრო გამოცდა; ზეპირი გასაუბრება. სამაგისტრო

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში დადგენილი წესით. პროგრამაზე მიღების წინაპირობებთან დაკავშირებული დოკუმენტის თანახმად, ზეპირი გასაუბრების კრიტერიუმები და შეფასების სისტემა შემდეგნაირია:

კომპონენტი - განათლება (კვალიფიკაციასთან შესაბამისობა) – 1-10 ქულა (დარგთან დაკავშირებული საკითხების ცოდნა (ბიზნესის მართვის თეორიები, კონცეფციები და პრინციპები; ბიზნესგარემოში მიმდინარე მოვლენებისა და ფაქტების გაანალიზება), დარგის თანამედროვე პრობლემატიკის ცოდნა);

კომპონენტი - მოტივაცია – 1-10 ქულა (პროფესიული განვითარების და კარიერული ზრდის საჭიროებების დასაბუთება; პროგრამის ფარგლებში მიღებული ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის პერსპექტივიდან);

თითოეული კომპონენტი ფასდება 1-10 ქულამდე. საბოლოო შეფასება მოხდება ორივე კომპონენტის საშუალო არითმეტიკულით. კონკურსში მონაწილე მაგისტრანტობის კანდიდატს მოეთხოვება 6-ზე მეტი ქულის მიღება. იმის გათვალისწინებით, რომ რამდენიმე სასწავლო კურსის, მათ შორის სავალდებულო სასწავლო კურსის „პროექტის მენეჯმენტი ტურიზმში“ (წინაპირობის გარეშე), სილაბუსში მითითებულია ინგლისურენოვანი ლიტერატურა, მნიშვნელოვანია წარმოდგენილი პროგრამის კურიკულუმის წინაპირობები ითვალისწინებდეს ამ გარემოებას. გარდა ამისა, არსებობს გარკვეული შეუსაბამობა წარმოდგენილ და დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულ კურიკულუმებს შორის, რის გამო მიზანშეწონილია დაკორექტირდეს პროგრამის წარმოდგენილი კურიკულუმის დაშვების წინაპირობები - მიეთითოს ინგლისური ენის ფლობის მოთხოვნილი B1 დონე, როგორც ეს არის მითითებული დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული პროგრამის დაშვების წინაპირობებში(https://www.tsu.ge/assets/media/files/7/saswavlo%20programebi/magistratura/M_Tourism%20(2023%20-%202025).pdf, იხ. გვ.2).

ინფორმაცია პროგრამაზე მისაღები შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საკითხები და შესაბამისი ლიტერატურა მითითებულია პროგრამის კურიკულუმში (იხ. გვ. 13), რომელიც განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე, რითაც უზრუნველყოფილია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების და პროგრამით სწავლის მსურველთათვის აქტუალური ასპექტების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის კურიკულუმი - დანართი 1;
- პროგრამაზე მიღების წინაპიპობები, კრიტერიუმები - დანართი 3;
- სილაბუსები - დანართი 1.
- ვებგვერდი https://www.tsu.ge/ka/programs/561

**რეკომენდაციები:**

- -

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

✓ მიზანშეწონილია პროგრამის კურიკულუმში დაკორექტირდეს დაშვების წინაპირობა - მიეთითოს ინგლისური ენის ფლობის მინიმალური მოთხოვნილი B1 დონე, როგორც ეს

არის მითითებული დაწესებულების ვებგვერდზე https://www.tsu.ge/ka/programs/561 განთავსებულ ტურიზმის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში.

შეფასება

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| **2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

**2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

